განმცხადებელი : ნოდარ რუხაძე

თარიღი : 30-09-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია იმედის ჟურნალისტები, გიორგი აბაზაძე და ლევან ჯავახიშვილი

სადავო მასალა : ტელეკომპანია იმედის სინფორმაციო გამოშვება ქრონიკა. გამოქვეყნების თარიღი - 29.09.2022 (20:42 სთ). https://fb.watch/fSUzQ9TAV8/

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : სიუჟეტში ჟურნალისტები გიორგი აბაზაძე და ლევან ჯავახიშვილი ავრცელებენ მცდარ ინფორმაციას, თითქოს მოძრაობა "სირცხვილიას" ერთ-ერთი ლიდერი, ნოდარ რუხაძე თითქოს დაგეგმილი აქციის გასაპროტესტებლად სოციალურ სივრცეში აქტიურობდა. ასევე, სიუჟეტის დაწყებისას, წამყვანი, ლევან ჯავახიშვილი ამბობს, ფრაზას, "რადიკალური ოპოზიციასთან კავშირში მყოფი მოძრაობა სირცხვილია", რაც ერთმნიშვნელოვნად ტოვებს განცხდას, თითქოს მოძრაობა სირცხვილიას და "ოპოზიციურ პარტიებს" აქვთ ერთიანი დღის წესრიგი და მოქმედებენ შეთანხმებულად, რაც არის საზოგადოების შეცდომაში შემყვანი განცხადება და მოძრაობა სირცხვილიას წარმოაჩენს ოპოზიციური პარტიების ნაწილად. გიორგი აბაზაძე სიუჟეტის დაწყებისას ამბობს: ქრონიკამ გაშიფრა, რომ "პროვოკაციული აქციის უკან, ის ძალები დგანან, რომელიც თითქოს აპროტესტებს...". ამ ფრაზის ფონად გადის ნოდარ რუხაძის პირადი სოციალური ქსელის მეშვეობით გაკეთებული კომენტარები საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, სიუჟეტი არის მანიპულაციური და საზოგადოება განზრახ შეყავს შეცდომაში, რომ თითქოს ნოდარ რუხაძე და სამოქალაქო მოძრაობა "სირცხვილია" დგანან პრო-რუსული, მძიმე პროვოკაციული აქციის დაგეგმვის უკან. შეჯამებისთვის, ზემოთ მოცემული ინფორმაცია არის აშკარა სიცრუე და არღვევს ქარტიის პირველ პრინციპს.ასევე ირღვევა ქარტიის მესამე პრინციპი, დადასტურებულ წყაროებზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელების შესახებ და ასევე ქარტიის მე-11 პრინციპი, ფაქტის განზრახ დამახინჯების შესახებ.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები